რეგისტრაცია სასწავლო პროგრამაში „სათემო ინიციატივების ტრენინგი (CAT)“

სათემო ლიდერებისათვის

Community Action Training

წინასიტყვაობა

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative) ფარგლებში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) აცხადებს რეგისტრაციას სასწავლო პროგრამაში „სათემო ინიციატივების ტრენინგი“.

შერეული სასწავლო პროგრამა „სათემო ინიციატივების ტრენინგი“ განკუთვნილია სათემო ლიდერებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ სათემო საინიციატივო ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებს და ისწრაფვიან არსებული საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისაკენ.

სათემო ინიციატივების ტრენინგის შესახებ

„სათემო ინიციატივების ტრენინგი“ არაიდეოლოგიური სასწავლო პროგრამაა, რომელიც შემუშავდა და დაინერგა კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის მიერ 2018 წელს. იგი განკუთვნილია იმ ახალგაზრდა სათემო ლიდერებისათვის, ვისაც უკვე აქვს წარმოდგენა სოციალური ტრანსფორმაციისა და ცვლილებების შესახებ.

სასწავლო პროგრამის საგანმანათლებლო მიდგომა ეფუძნება „სამშვიდობო განათლების კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტს“ („Designing Learning for Peace – Peace Education Competence Framework“). სწავლების მეთოდოლოგია აგებულია არაფორმალური განათლებისა და თანასწორთა მიერ განათლების პრინციპებზე.

სასწავლო პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან:

- ონლაინ თვითმართული კურსი;
- გასვლითი პირისპირ ტრენინგი ფიზიკურ სივრცეში, რომლის ხანგრძლივობაა 5 დღე. გასვლით პირისპირ ტრენინგში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ ონლაინ კურსს, წარმოადგენენ საპროექტო განაცხადს (იხილე ქვემოთ თავი „საგრანტო შესაძლებლობა სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის“) და შერჩეულ იქნებიან კომისიის მიერ საგრანტო დაფინანსებისათვის.

სასწავლო პროგრამა ჩატარდება ქართულ ენაზე, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ტრენერთა გუნდის მიერ.

რეგისტრაციის ვადები და წესი

რეგისტრაციის ვადებია:

- ონლაინ კურსზე რეგისტრაციის ბოლო ვადაა: **12 ნოემბერი, 2023**
- ონლაინ კურსის დასრულების ბოლო ვადაა: **10 დეკემბერი, 2023**

კურსზე რეგისტრაციისათვის მონაწილემ უნდა შეავსოს სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე: https://forms.gle/ubKs4HAgjkaFF1rE6

პირობები

სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა უფასოა. ასევე, პროგრამა ფარავს პირისპირ კურსის ხარჯებს შერჩეული მონაწილეებისათვის:

- სასწავლო პროგრამისთვის საჭირო სასწავლო მასალები;
- 5 დღიანი ტრენინგის ფარგლებში მგზავრობის, ცხოვრებისა და კვების ხარჯები.

საგრანტო შესაძლებლობა სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის

სასწავლო პროგრამის ონლაინ კურსის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ეძლევათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში, რომლის მიზანია სათემო ინიციატივების მხარდაჭერა. ამისათვის მათ უნდა მოამზადონ საპროექტო განაცხადი გრანტის მოსაპოვებლად. გრანტის მოცულობა 3,000 ევროს ეკვივალენტი ლარი. პროექტები უნდა ემსახურებოდეს წარმოდგენილი სათემო საინიციატივო ჯგუფების თუ ორგანიზაციის გაძლიერებას და მათი ეფექტიანობის ზრდას.

საკონტაქტო ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:
tika.dolidze@ctc.org.ge